საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/4075
28/06/2021

4075-09-2-202106281400

საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის

აღმასრულებელ დირექტორს ქალბატონ ეკა ურუშაძეს

ასლი: ქალბატონ ლია თოდუას

N3-737 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ ინფორმაციას საქართველოში იდენტიფიცირებულ და რეგისტრირებულ ცხოველებთან დაკავშირებით შესაბამისი სახეობების მიხედვით:

წელი	იდენტიფიცირებულ და რეგისტრირებულ ცხოველთა სულადობა		
	მსხვილფეხა საქონელი	წვრილფეხა საქონელი	ღორი (საპილოტე)
2012	850,099		
2013	161,283		
2014	287,514		
2015	410,220	86,787	
2016	508,998	194,186	
2017	455,084	132,092	
2018	495,244	85,714	1,792
2019	503,650	424,946	2,199
2020	501,287	311,563	3,322
2021 მიმდინარე	200,000	50,000	740

აქვე გაცნობებთ, რომ ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ცოცხალი პროცესია და მოიცავს არა მხოლოდ პირველად რეგისტრაციას (დაბადება), არამედ შემდეგ მათზე გადაადგილების (გასხვისება, სეზონური მიგრაცია) შესახებ მონაცემების რეგისტრაციას, ხოლო საბოლოოდ მათ ჩამოწერას (ცხოველთა

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

სასაკლაოები, ექსპორტი და სხვა), რაც ყოველდღიურად განახლებადი პროცესია. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეულ ცვლილებას აქვს შესაბამისი ნორმატიული აქტით (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის #483 დადგენილება) დადგენილი ვადები, ამ ეტაპზე შეუძლებელია დროის კონკრეტულ ერთეულში სიცოცხლის სტატუსის წილის ზუსტი თანაფარდობის დადგენა არსებულ სულადობასთან.

ქვეყანაში არსებული ცხოველთა სახეობების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, უმჯობესია, იხელმძღვანელოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

#3-737

15 ივნისი, 2021

სურსათის ეროვნულ სააგენტოს

თემა: იდენტიფიცირებული და რეგისტრირებული ცხოველების რაოდენობა

გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ამჟამად საქართველოში იდენტიფიცირებული და რეგისტრირებული ცოცხალი შინაური ცხოველების რაოდენობის შესახებ, სახეობების მიხედვით და მათი წილი ქვეყანაში დღეს არსებულ ამავე სახეობის შინაურ ცხოველებთან მიმართებაში.

მადლობთ წინასწარ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენი პასუხი გამოქვეყნდება asocireba.ge ვებგვერდზე და გამოყენებული იქნება საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების მაჩვენებლების გაანგარიშებისთის.

პატივისცემით

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საკონტაქტო პირი: ლია თოდუა, მობ: 599577959, ელ-ფოსტა: liatodua@csrdg.ge